ფ დამტკიცებულია შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის
დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭოს წევრები:

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის სასკოლო სასწავლო გეგმა

2023-2024 სასწავლო წელი

სარჩევი

თავი 1. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება 4

მუხლი 1. შესავალი 4

მუხლი 2 სკოლის მისია 4

2.1. სკოლის მისია საფეხურების მიხედვით 4

2.1.1დაწყებითი საფეხურის მისია 4

2.1.2 საბაზო საფეხურის მისია 4

2.1.3 საშუალო საფეხურის მისია 5

მუხლი 3. სასწავლო წლის კალენდარი 5

მუხლი 4. დღის რეჟიმი 6

მუხლი 5. სასკოლო საათობრივი ბადე დასწრებული სწავლებისთვის 7

თავი 2. მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა 7

მუხლი 6. შეფასების სისტემის მიზანი და ამოცანები 7

მუხლი 7. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება 8

მუხლი 8. მოსწავლეთა გამსაზღვრელი შეფასების სისტემა 8

მუხლი 19. ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები 9

მუხლი 10. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) 10

მუხლი 11. საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები 10

მუხლი12. შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი 11

12.2. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი 11

მუხლი 13. ქულების გამოანგარიშების წესი 11

მუხლი 14. კლასისა და საფეხურის დაძლევა 12

მუხლი 15. შეფასება და გაცდენები 13

მუხლი 16. გამოცდის ტიპები 13

თავი 3. საგანმანათლებლო რესურსები და მათი გამოყენება 15

მუხლი 17. საგანმანთლებლო რესურსები 15

თავი 4. დეპარტამენტები (სკოლის კათედრები) 15

მუხლი 18. მასწავლებელთა საგნობრივი ჯგუფები (დეპარტამენტები) 15

მუხლი 19. დეპარტამენტების საქმიანობა: 16

მუხლი 20. სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი....16
20.1 ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა: 16
თავი 5. ინკლუზიური განათლება....17
მუხლი 21. ინკლუზიური განათლება....17
მუხლი 22. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე....17
მუხლი 23. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა....18
მუხლი 24. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები....20
მუხლი 25. სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება....21
თავი 6. სადამრიგებლო პროგრამა....22
მუხლი 26. კლასის დამრიგებლის მოვალეობები....22
მუხლი 27. დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:....23
მუხლი 28. სადამრიგებლო საათის პროგრამა....23
მუხლი 29. სადამრიგებლო კლასების ორგანიზება....23
თავი 7. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება....24
მუხლი 30. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება....24
თავი 8. კოორდინატორ მასწავლებელთა მუშაობის ძირითადი პრინციპები....24
თავი 9.სასკოლო კლუბები....25
მუხლი 33. კლუბების მუშაობის მნიშვნელობა....25
თავი 10. დისტანციური სწავლება....25
მუხლი 34.. დისტანციური სწავლების ორგანიზება....25
თავი 11. დასკვნითი დებულებანი....26
მუხლი 33. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის წესი....26
მუხლი 34. გარდამავალი დებულებები....26

თავი 1. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 1. შესავალი

1.1 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.

1.2 სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებითი (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე

მუხლი 2 სკოლის მისია

2.1 სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის მისიაა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის საგანმანათლებლო გარემოში აღზარდოს უცხო ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკურ - ლოგიკური აზროვნების განმავითარებელი, თანამედროვე სასწავლო პროგრამებითა და ინოვაციური მიდგომებით, ქართული და მსოფლიო კულტურული ღირებულებების მატარებელი, უახლეს ტექნოლოგიების გამოყენებასა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პიროვნება.

2.1. სკოლის მისია საფეხურების მიხედვით

2.1.1 დაწყებითი საფეხურის მისია

- საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

2.1.2 საბაზო საფეხურის მისია

- საბაზო საფეხურის მისიაა, საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

2.1.3 საშუალო საფეხურის მისია

- საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

მუხლი 3. სასწავლო წლის კალენდარი

3.1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

3.2. 2022 - 2023 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2022 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების 2023 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა;

3.3. I კლასის მოსწავლეთათვის 2022-2023 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2023 წლის 25 მაისი, ხოლო XII კლასის მოსწავლეთათვის - 2023 წლის 19 მაისი; (I კლასის მოსწავლეები, სურვილის შემთხვევაში, თავისუფალ სასწავლო გარემოში შეძლებენ სიარულს 2023 სასწავლო წლის 15 ივნისის ჩათვლით)

3.4. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2022 წლის 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2023 წლის 15 იანვარს;

3.5. 2022-2023 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

	უქმე
დღეები	
14.10.2023	სვეტიცხოვლობა
23.11.2023	გიორგობის დღე
01-02.01.2024	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
07.01.2024	შობა
19.01.2024	ნათლისღება
03.03.2024	დედის დღე
08.03.2024	ქალთა საერთაშორისო დღე
14.04.2024 17.04.2024	აღდგომის სადღესასწაულო დღეები
09.05.2024	ფაშიზმზე გამარჯვების დღე
12.05.2024	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
26.05.2024	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

- ზამთრის არდადეგები - 30 დეკემბრიდან - 14 იანვრის ჩათვლით;
- საგაზაფხულო არდადეგები - 08 მარტიდან - 14 მარტის ჩათვლით;

3.6. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესსში დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:

ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;

გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

3.7. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;

3.8. II-XII კლასებში გაკვეთილის ხანგძლივობაა 45 წუთი.

3.9. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ექსტრემალური პირობების დროს (პანდემია, ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.);

ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს.

3.10. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი, მეორე და მესამე გაკვეთილების შემდეგ შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 10 წუთს.

მუხლი 4. დღის რეჟიმი

4.1 სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში სასწავლო პროცესი იწყება 9:15 წთ ზე.

4.2 კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები სკოლაში ცხადდებინ არაუგვაინეს 9:00 სა.

4.3 მოსწავლე ვალდებულია, სკოლაში გამოცხადდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე 10 წთ. - ით ადრე

4.4 I- IV კლასებში ძირითადი სასწავლო პროცესის ადსრულების შემდეგ, მოსწავლეებს ეწყებათ გახანგრძლივებული სწავლება. გახანგრძლივებულ სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი და/ან გახანგრძლივებული სწავლების მასწავლებელი.

4.5. I- IV კლასებში გახანგრძლივებული სწავლება სავალდებულოა.

4.6. I-IV კლასებს აქვთ შესაძლებლობა, ისადილონ სკოლის სასადილოში, წინასწარ შეთავაზებული სადილის გრაფიკის შესაბამისად.

5.4 სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის სამუშაო განრიგია:

გაკვეთილი	გაკვეთილის დაწყება დამთავრება
1	9^{00} – 9^{45}
2	9^{55} – 10^{40}
3	10^{50} – 11^{35}
4	11^{40} – 12^{25}
5	12^{40} – 13^{25}

6	13^{30} – 14^{15}
7	14^{20} – 15^{05}
8	15^{10} – 15^{45}
9	15^{50} – 16^{25}
10	16^{30} – 17^{05}

მუხლი 5. სასკოლო საათობრივი ბადე დასწრებული სწავლებისთვის

5.1. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლამ (25 %-იანი ცვლილების ფარგლებში ესგ-ს 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლას უფლება აქვს, ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადაანაწილოს სხვა საგნებს შორის, აგრეთვე ესგ - 16. 4 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად: სკოლის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სკოლა გადაწყვეტს საათობრივი ბადის განტვირთვას. კონკრეტულ კლასებში კონკრეტული საგნების რაოდენობა და კლასების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასაკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ცხრილი წარმოდგენილია დანართი 1ის შესაბამისად.

თავი 2. მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მუხლი **6.** შეფასების სისტემის მიზანი და ამოცანები

6.1 მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია, სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

6.2. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

6.3. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი **7.** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

7.1. შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

7.2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

7.3. განმავითარებელი შეფასება ადგენს, თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

მუხლი **8.** მოსწავლეთა გამსაზღვრელი შეფასების სისტემა

8.1 შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	

6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

8.2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების მიერ იწერება მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დახასიათებულია მოსწავლე, აღნიშნულია მისი წარმატებები და მითითებულია რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

8.3. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

8.4. V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
8.5 დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

მუხლი **19.** ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

9.1 სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან (ესგ მუხლი 32. 3.ა პუნქტის შესაბამისად - ვარიანტი I) მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI –XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII –XII კლასები), შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI – XII კლასები)

9.2 ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

ა) საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით;)

გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში აისახება წლიური გამოცდის ნიშანიც, რომელიც გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

დ) საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

მუხლი **10.** საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები **(**კომპონენტები**)**

10.1. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

10.2. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:
ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

10.3. I-IV კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
10.4. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
10.5. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

მუხლი **11.** საშინაო**,** საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

11.1 საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

11.2 საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

11.3 საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ

მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადსხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

11.4 შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

მუხლი**12.** შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

12.1 შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

12.2. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

12.2.1 შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.
12.2.2. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება 10 დღის ვადაში.
12.3. სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია <u>დან ართ ი 7-ის</u>სახით.

მუხლი **13.** ქულების გამოანგარიშების წესი

13.1 საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.
დ) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

13.2 საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
გ) სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რომელშიც დაგეგმილია წლიური გამოცდის ჩატარება, ამ გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, კერძოდ, საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული იქნება (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო,
13. 3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).
გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

მუხლი **14.** კლასისა და საფეხურის დაძლევა

14.1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში - სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
14.2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
14.3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო

განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
15.4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

მუხლი **15.** შეფასება და გაცდენები

15.1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
15.2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
15.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება კონკრეტული საგნისთვის, კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
15. 4. სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
15.5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

მუხლი 16. გამოცდის ტიპები

16.1 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:
ა) სემესტრული გამოცდა;
ბ) საშემოდგომო გამოცდა;
გ)ექსტერნატის გამოცდა;

16. 2 სემესტრული გამოცდა
16.2.1 სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
16.2.2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის

შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

16.2.3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

16.2.4 მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

16.2.5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

16.3 საშემოდგომო გამოცდა

16.3.1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;

16.3.2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;

16.3.3. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);

16.3.4. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა; შეიქმნება საგანში/საგნებში საშემოდგომო გამოცდების მიმღები კომისია და მათვე დაევალებათ საგამოცდო მასალის მომზადება; საშემოდგომო გამოცდის შედეგი ფორმდება საგამოცდო ოქმით რომელსაც ხელს აწერენ გამომცდელი მასწავლებელი და გამოცდებზე პასუხისმგებელი პირი, ოქმი დამოწმდება დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით, საშემოდგომო გამოცდის შედეგზე იწერება ბრძანება.

16.3.5. შპს სერვანტეის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2023 წლის 26 ივნისიდან ორი კირის განმავლობაში. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზეზის შემთხვევაში, მშობლის განცხადების საფუძველზე საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2023 წლის სექტემბრის თვეშიც.

16. 4. ექსტერნატის ფორმით გამოცდა

16.4.1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

16.4.2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

თავი 3. საგანმანათლებლო რესურსები და მათი გამოყენება

მუხლი 17. საგანმანთლებლო რესურსები

17.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

17.2 საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

ბ)საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო/სერია;

ე) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების და რესურსების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება 2022-2023 სასწავლო წელს და აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნრების სამინისტროსთან შეთანხმებული პირველი უცხო ენის (ინგლისური ენის) სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა (შეთანხმების წერილი MES 1 22 0000425254). დან ართ
ი2

17.3 სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში შემუშავებულია, აგრეთვე ლაბორატორიით სარგელობის წესები, რომლის დაცვა სავალდებულოა ლაბორატორიით მოსარგებლე პირთათვის. დანართი 6

17.4. სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე

თავი 4. დეპარტამენტები (სკოლის კათედრები)

მუხლი 18. მასწავლებელთა საგნობრივი ჯგუფები (დეპარტამენტები)

18.1 სკოლაში არის 4 დეპარტამენტი:
1. სტემის დეპარტამენტი
2. ჰუმანიტარული საგნების დეპარტამენტი
3. უცხოური ენების დეპარტამენტი
4. დაწყებითი კლასების (1-4 კლ) დეპარტამენტი

მუხლი **19.** დეპარტამენტების საქმიანობა**:**

19.1 დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ) წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

დ) სხვა დეპარტამენტებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

თ) დეპარტამენტის წევრებიდან ირჩევა თავმჯდომარე, ერთი სასწავლო წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის არჩევა დეპარტამენტის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

19.2 დეპარტამენტის თავმჯდომარის ფუნქციებია:

ა) შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);

ბ) მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.

გ) იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, პირველი სემესტრის დაწყებამდე და ყოველი სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით).

მუხლი **20.** სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

20.1.ჯგუფის მიზნები:

ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;

ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;

გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება;

დ) სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

20.1 ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა**:**

20.2.1 ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის ჯგუფი:

ა) ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
ბ) ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას;
გ) მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე;
დ) პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

თავი 5. ინკლუზიური განათლება

მუხლი 21. ინკლუზიური განათლება

21.1 ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ.
სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.
სკოლა მზად არის სსსმ მოსწავლეს შეუქმნას მისი საჭიროებებიდან გამომდინარე სასწავლო და ფიზიკური გარემო.
უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში სრულად იქნება შემუშავებული სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში, შინ სწავლების შემთხვევაში შემუშავებული იქნება მეცადინეობის განრიგი მშობელთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში მშობლებისათვის გაწეული იქნება კონსულტაცია მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით. ფსიქოლოგის მიერ წლის განმავლობაში მოხდება მონიტორინგი და ხელშეწყობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების.
21.2 სკოლის მიერ ჩამოყალიბებული, ინკლუზიური განათლების სისტემური ხედვა სრული ფორმით, სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის დანართი 3 ის სახით.

მუხლი 22. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

22.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
22.2 ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისობრივ ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
22.3 სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთ ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:
ა) სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო;
ბ) საათობრივი ბადე;
გ) დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა;
დ) სასწავლო მასალა;
ე) სწავლების სტრატეგია;
ვ) ალტერნატიული შეფასების გამოყენება (ტესტირება, წერითი დავალება, ზეპირი დავალება და სხვა.) და სხვა.

მუხლი **23.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

23.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
23.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
23.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში.
23.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად, შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.
23.5. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი და/ან ფსიქოლოგი (საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგის და სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი ან ძიძა) ჩართულობით);
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.
23.6. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და
მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი).
23.7 თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლა ბრძანებით განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს (შემდგომში – ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
23.8.ისგ ჯგუფში გაერთიანდებიან ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე, მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები და ფსიქოლოგი.
23.9 ისგ ჯგუფს ეყოლება კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფს ხელმძღვანელობას გაუწევს დამრიგებელი ან ფსიქოლოგი.
23.10 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ ჩატარდება ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.
23.11 ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ფსიქოლოგი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
23.12 ისგ ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას აწვდის სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებულ სრულ დოკუმენტაციას (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).
23.13 სკოლა უფლებამოსილია სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელოს ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების სწავლებისას შესაძლებელია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, როგორც ძირითადი

საგანმანათლებლო რესურსი, გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული სხვა საგანმანთლებლო რესურსები/სერვისები.

23.14. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

23.15 ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.

23.16. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

23.17. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

23.18 სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

მუხლი **24.** სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება**,** დასწრება და გაცდენები

24. 1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

24.2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

24.3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:

ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

24.4. საბაზო/საშუალო საფეხურის სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30 % და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით აბარებს გამოცდას.

მუხლი **25.** სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

25.1 სკოლას შინ სწავლების რეჟიმზე გარდა სსსმ მოსწავლისა (საჭიროების შემთხვევაში) გადაჰყავს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

25.2 მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

25.3 სკოლა ადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს/ჩართვას. განრიგი და მისაღწევი შედეგები (მასწავლებლების, ფსიქოლოგის ჩართულობით) გაიწერება სკოლის მიერ კონკრეტული შემთხვევისთვის და ეცნობება მშობელს და მოსწავლეს

25.4 შინ სწავლების პროცესში სკოლა იყენებს პირისპირ ან დისტანციური (სინქრონული და ასინქრონული) სწავლების ფორმას. დისტანციური სწავლების შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სკოლა იყენებს მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის მოსახერხებელ ელ.პლატფორმას.

25.5 მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.

25.6 მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

25.7 მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

25.8 კონკრეტული მოსწავლისთვის სწავლის შედეგების მიღწევის შუალედურ მონიტორინგს განახორციელებს სკოლის სასწავლო პროცესის მენეჯერი მოსწავლესთან, მასწავლებელთან, მშობელთან გასაუბრებით, ელ. კითხვარის გამოყენებით, დაკვირვებით და სხვა.

25.9 სწავლის შედეგების მიღწევის ფინალური მონიტორინგი კი განხორციელდება შესაბამისი ინსტრუმენტებით მოსწავლის სკოლაში დაბრუნებისას. საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმა რემედიაციის შესაბამის აქტივობები.

თავი 6. სადამრიგებლო პროგრამა

მუხლი 26. კლასის დამრიგებლის მოვალეობები

კლასის დამრიგებლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს:

ა)გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

ბ) დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.

გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გაიგოს გამოუცხადებლობის მიზეზი და აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სკოლის ადმინისტრაციას;

ე) საჭოროების შემთხვევაში - არსებული ეპიდემიულოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა სკოლაში (მორიგეობის დაცვა, დისტანცია მოსწავლეებს შორის, საკლასო ოთახების განიავება და ა.შ);

ვ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

ზ) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ი) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

კ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

ლ) საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მუხლი 27. დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

მუხლი **28.** სადამრიგებლო საათის პროგრამა

28.1 სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

ა) საუბრები მოსწავლეებთან;

ბ) დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;

გ) ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;

დ) ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;

ე) მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

მუხლი **29.** სადამრიგებლო კლასების ორგანიზება

29.1 თითოეული სადამრიგებლო კლასი განთავსებულია კონკრეტულ საკლასო ოთახში, რომელიც დანომრილია სართულების შესაბამისად.

29.2 I სასწავლო კორპუსი დანომრილია სართულის მიხედვით, შემდეგი პრინციპით მაგ: ოთახი 101 .

II სასწავლო კორპუსი დანომრილია სართულის მიხედვით, შემდეგი პრინციპით მაგ: ოთახი 1

29.3 თითოეულ სადამრიგებლო კლასს აქვს თავსი ნომერი მაგ: 1ა კლასი.

29.4 თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი

29.5 ინფორმაცია შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის სადამრიგებლო კლასებისა და განაწილებული საკლასო ოთახების შესახებ, სასკოლო სასწავლო გეგმას თან

ერთვის დანართი 4 -ის სახით.

თავი 7. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

მუხლი **30.** ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული**/**გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

30.1 "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, აგრეთვე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული /გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური (წრის) ან სავალდებულო საგნის სახით.
30.2 სკოლა მოსწავლეებს დამატებით ფაკულტატურ მომსახურებას - წრეს სთავაზობს ამა წლის 1 ოქტომბრიდან. მოსწავლეები წრეებს სურვილის მიხედვით ირჩევენ.
30.3 სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბებსი გაწევრიანებას. მოსწავლეები 1 ოქტომბრიდან კლუბების მიზნების და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ღებულობენ პრეზენტაციების/ შეხვედრების/ საუბრების სახით.
30.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმნათლებლო მომსახურების ჩამონათვალი, წრეების და კუბების ჩამონათვალი სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის დანართი 5-ის სახით.

თავი 8. კოორდინატორ მასწავლებელთა მუშაობის ძირითადი პრინციპები

მუხლი 31. კოორდინატორ მასწავლებლებთან მუშაობის პრინციპები
31.1.1. სკოლაში მუშაობს კოორდინატორ მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც ყოველი სასწავლო დღის ბოლოს, საჭიროებიდან გამომდინარე მოსწავლეებს სთავაზობენ დახმარებას სასურველ დისციპლინაში.
31.1.2.სასწავლო წლის დასწყისში, სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მოსწავლეებს წარუდგენს კოორდინატორთა სამუშაო გრაფიკს.
31.1.3. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაკვეთილების დასრულების შემდეგ დასახმარებლად მიმართონ სასურველი საგნის კოორდინატორს.

დამტკიცებულია შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის
31.1.4. სკოლის მიერ შეთავაზებული კოორდინატორ მასწავლებელთა სამუშაო განრიგი სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის დანართი 8-ის სახით.

მუხლი 32. გახანგრძლივებული სწავლება
32.1. სკოლა I -IV კლასის მოსწავლეებს სთვაზობს გახანგრძლივებული სწავლებას
32.2. I -IV კლასებში საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს გახანგრძლივებული ჯგუფის კურატორი უწევს კოორდინირებას უსაფრთხო, თავისუფალ გარემოში დამოუკიდებლად შეასრულონ დავალებები.
32.3. I -IV კლასებში თითოეულ კლასს ჰყავს ინდივიდუალური გახანგრძლივებული ჯგუფის კურატორი.

თავი 9.სასკოლო კლუბები

მუხლი **33.** კლუბების მუშაობის მნიშვნელობა
32.1 კლუბების მუშაობა არის არაფორმალური განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი, არაფორმალური განათლება მოსწავლეს ეხმარება:
ა)ინდივიდუალური გამოცდილების შეძენაში;
ბ)ამ გამოცდილების საფუძველზე მიღებული კომპეტენციის დადასტურებაში;
32.2 შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზიაში აია-ჯესსში არსებული კლუბის დებულებას ამტკიცებს დირექტორთა საბჭო
32.3.კლუბში ერთიანდებიან თავიანთი ინტერესების შესაბამისად სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის მოსწავლეები.
32.4 სასკოლო კლუბების მიზნებს და ამოცანებს, მათ სამუშაო სტატეგიებს და აქტივობებს აყალიბებენ კლუბის წევრები დებულების შესაბამისად
32.5 შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსში მოქმედი კლუბების ჩამონათვალი წარმოდგრნილი დანართი 5 შესაბამისად

თავი 10. დისტანციური სწავლება

მუხლი **34..** დისტანციური სწავლების ორგანიზება

4.1. 2022-2023 სასწავლო წელს სერვანტესის სახელობსი გიმნაზია აია ჯესსი სასწავლო პროცესს ახორციელებს არადისტანციურ რეჟიმში.
4.2. შემდგომშიც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე.
4.3. სკოლაში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი

მოდელების გამოყენებით:
ა) სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში zoom პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით);
ბ) ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების ან/და ბეჭდური რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
გ) ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით (შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შთანხმებით).
4.4. დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილებს შორის შესვენება იქნება 20 წუთი.
4.5. შემდგომში სრულად დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული დღის რეჟიმით.
4.6. შემდგომში სრულად დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი განხორციელდება წინასწარ შემუშავებული საათობრივი ბადის შესაბამისად.
4.7. დისტანციური სწავლების დროს განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებით:
ა) ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით;
ბ) მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა;
გ) მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა;
დ) დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.
დისტანციური სწავლების დროს სასწავლო პროცესის მონიტორინგს განახორციელებს დირექცია კვირაში ერთხელ.

თავი **11.** დასკვნითი დებულებანი

მუხლი **33.** სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის წესი

33.1 შინაგანაწესში ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და დამტკიცება ხდება სკოლის დებულების შესაბამისად.

მუხლი **34.** გარდამავალი დებულებები

34.1 სასკოლო სასწავლო გეგმა ძალაშია სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.
34.2. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდება, სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭოს მეშვეობით სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილი ცვლილებების საფუძველზე.